არქიტექტურული კომპანია დემარკი

მისამართი: 0160, გ. სააკაძის დაღმართი 6, თბილისი, საქართველო. ტელ (+995 32) 219 55 12
E-mail: info@dmark.ge; Web: www.dmark.ge

განმარტებითი ბარათი

პუნქტობრივად მოგახსენებთ პასუხებს ქ. თბილისის საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ES 4 18 00066551 წერილში გამოთქმულ რეკომენდაციებზე, რომელიც ეხება ქ. თბილისში, კოსტავას ქ. 77ა-ში (სკ 01.10.13.023.198) უმაღლესი სასწავლებლის შენობის სამშენებლო პროექტის არქიტექტურული ნაწილის „შენობა-ნაგებობების უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის N41 დადგენილების მოთხოვნების შესაბამისად,საპროექტო დოკუმენტაციის სახანძრო უსაფრთხოების შესაბამისობის ნაწილში, კერძოდ

1. შენობის კიბის უჯრედებში განთავსებული შიდა ხანძარსაწინააღმდეგო წყალგაყვანილობის სისტემის სახანძრო ონკანები გატანილია კიბის უჯრედიდან და ყველა გეგმაზე დატანილია სათანადო აღნიშვნა.
2. წარმოდგენილი პროექტი შედგენილია 41-ე დადგენილების მიხედვით და მიღებული აქვს დადებითი საექსპერტო შეფასება. რაც შეეხება საგანგებო სამსახურის მოთხოვნას, რომ გონივრულ ვადაში იქნეს წარმოდგენილი სახანძრო უსაფრთხოების ყველა ჩამოთვლილი კომპონენტების პროექტი, მზად ვართ შევათანხმოთ და წარმოვადგინოთ, როგორც არქიტექტურის სამსახური ითხოვს, სამშენებლო მოედანზე მშენებლობის დაწყებამდე.

შპს დემარკი

დირექტორი

ვლადიმერ აბრამიშვილი

საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური

EMERGENCY MANAGEMENT SERVICE

ES 4 18 00066551

28/09/2018

პასუხი: AR1629868 განაცხადის განხილვა.

სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის
III-IV კლასის შენობა-ნაგებობების სანებართვო განყოფილების
პირვლადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს
თეონა ახალაშვილს

ქალბატონო თეონა,

თქვენი 2018 წლის 24 სექტემბრისს N60-01182671641 წერილის (სამსახურში რეგისტრაციის თარიღი 24.09.2018 N65105) პასუხად გაცნობებთ, რომ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სპეციალისტების მიერ „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57 დადგენილების 32-ე მუხლის პირველი პუნქტის „ზ[1]“ ქვეპუნქტის მოთხოვნების შესაბამისად, განხილული იქნა ქალაქ თბილისში, კოსტავას ქუჩა N77 “ა“-ში (ს/კ 01.10.13.023.198) ასაშენებელი სპორტულ-საგანმანათლებლო დანიშნულების შენობის კორექტირებული სამშენებლო დოკუმენტაცია, სამშენებლო ნორმების და წესების, ტექნიკური რეგულირების სხვა დოკუმენტებით დადგენილი სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების შესაბამისობის ნაწილში.

წარმოდგენილი სამშენებლო დოკუმენტაციის განხილვის შედეგებით დადგინდა, რომ ქალაქ თბილისში, კოსტავას ქუჩა N77 „ა“-ში (ს/კ 01.10.13.023.198) მშენებარე სპორტულ-საგანმანათლებლო შენობის სამშენებლო დოკუმენტაციაში, „ტექნიკური რეგლამენტი შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე “საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის N41 დადგენილების და საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის N52 დადგენილების მოთხოვნების შესაბამისად აღიარებული და საქართველოს ტერიტორიაზე დროებით სამოქმედოდ დაშვებული სახანძრო უსაფრთხოების მარეგულირებელი ნორმების მინიმალური მოთხოვნების თანახმად, არ იქნა გათვალისწინებული ქალაქ თბილისის საგანგებო სიტუაციების მართვის

სამმართველოს მიმდინარე წლის 29 მაისის N30216 წერლში აღნიშნული ხანძარსაწინააღმდეგო მოთხოვნა, კერძოდ:

ვინაიდან შენობის კიბის უჯრედები წარმოადგენს დაუკვამლიანებელ კიბის უჯრედებს SP 10.13130.2009 პუნქტი 4.1.16-ის თანახმად, მასში შიდა ხანძარსაწინააღმდეგო წყალგაყვანილობის სისტემის, სახანძრო ონკანების განთავსება დაუშვებელია. აქვე გაცნობებთ, რომ ტექნიკური რეგლამენტის „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების“ დამტკიცების თაობაზე ქვეთავი 905 ქვეპუნქტი 905.4. (1)-ის თანახმად “ყველა აუცილებელ გზა-კიბეზე სახელოს მისაერთებელი უნდა მდებარეობდეს მიწის დონის ზემოთ ან ქვემოთ ყოველი იატაკის დონეზე. სახელოს მისაერთებლები უნდა მდებარეობდეს იატაკებს შორის არსებულ შუალედურ დონეზე, **თუ სხვაგვარად შეთანხმებული არაა სახანძრო-სამაშველო დანაყოფთან“;**

ამასთან ერთად გაცნობებთ, რომ აუცილებლად მიგვაჩნია მშენებლობის სანებართვო პირობებში ასახული იქნეს შენობის ქვემოთ ჩამოთვლილი ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემების მოწყობის საკითხები, რომელთა დაპროექტების დოკუმენტაცია გონივრულ ვადაში წარმოდგენილი უნდა იქნეს განსახილველად, მათ შორის:

ა) შენობის გარე ხანძარსაწინააღმდეგო წყალგაყვანილობის ქსელების მოწყობა, დადგენილი წესით შემუშავებული დაპროექტების დოკუმენტების შესაბამისად;

ბ) შენობის შიდა ხანძარსაწინააღმდეგო წყალგაყვანილობის ქსელების მოწყობა, დადგენილი წესით შემუშავებული დაპროექტების დოკუმენტების შესაბამისად;

გ) შენობაში ავტომატური სახანძრო სიგნალიზაციის მოწყობა, დადგენილი წესით შემუშავებული დაპროექტების დოკუმენტების შესაბამისად;

დ) კვამლსაწინააღმდეგო ვენტილაციის სისტემის მოწყობა, დადგენილი წესით შემუშავებული დაპროექტების დოკუმენტების შესაბამისად;

ვ) ხანძრის ჩაქრობის ავტომატური სისტემის მოწყობა, დადგენილი წესით შემუშავებული დაპროექტების დოკუმენტების შესაბამისად;

ე) შენობაში ხანძრის შესახებ შეტყობინებისა და ადამიანთა ევაკუაციის მართვის სისტემების მოწყობა, დადგენილი წესით შემუშავებული დაპროექტების დოკუმენტების შესაბამისად;

თ) შენობის გათბობა-ვენტილაციის სისტემის მოწყობა, დადგენილი წესით შემუშავებული დაპროექტების დოკუმენტების შესაბამისად;

ი) ელექტროდანადგარების მოწყობა, დადგენილი წესით შემუშავებული დაპროექტების დოკუმენტების შესაბამისად;

პატივისცემით,

საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური /
ზედამხედველობის დეპარტამენტი
დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი
თალაკვაძე ზურაბი

ადრესატები: **საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური**

არქიტექტურული კომპანია **დემარკი**

მისამართი: 0160, გ. სააკაძის დაღმართი 6, თბილისი, საქართველო. ტელ (+995 32) 219 55 12
E-mail: info@dmark.ge; Web: www.dmark.ge

განმარტებითი ბარათი

პუნქტობრივად მოგახსენებთ პასუხებს ქ. თბილისის საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ES 3 18 00030216 წერილში გამოთქმულ რეკომენდაციებზე, რომელიც ეხება ქ. თბილისში, კოსტავას ქ. 77ა-ში (სკ 01.10.13.023.198) უმაღლესი სასწავლებლის შენობის სამშენებლო პროექტის არქიტექტურული ნაწილის „შენობა-ნაგებობების უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის N41 დადგენილების მოთხოვნების შესაბამისად,საპროექტო დოკუმენტაციის სახანძრო უსაფრთხოების შესაბამისობის ნაწილში.

1. ვინაიდან შენობის გზა-კიბეებისა და გზა-კიბეებთან მისადგომ დერეფნებში გათვალიწინებულია მექნიკური დამწნევი სისტემის მოწყობა სახანძრო მილდგარების სისტემების განთავსება აღნიშნულ ადგილებში დაუშვებელია იხილე 905.4.1 ქვეთავი 1 პუნქტი;

პასუხი: მითითებული პუნქტის მიხედვით ამონარიდი წესებიდან, სადაც არ არის შეზღუდვა მოცემულ პირობებში მილდგარების განთავსების:

905.4.1 დაცვა. I კლასის სახანძრო მილდგარების სისტემების დგარები და გვერდითი განშტოებები, რომლებიც შემოზღუდული გზა-კიბის საზღვრებში ან ჰერმეტულად დახურულ სივრცეში არ მდებარეობს, დაცული უნდა იყოს ისეთივე ცეცხლმედეგობის ხარისხით, როგორიც აუცილებელია შენობაში არსებული შეუღლი დახურული სივრცეებისთვის.

გამონაკლისი: სათანადო ავტოსაშხეფი სისტემით მთლიანად აღჭურვილ შენობებში აუცილებელი არ არის გვერდითი განშტოებები, რომლებიც შემოზღუდული გზა-კიბის საზღვრებში ან ჰერმეტულ დახურულ სივრცეში არ მდებარეობს, შემოზღუდული იყოს ცეცხლმედეგობის ხარისხიანი კონსტრუქციით.

2. 1015.1 ქვეთავის მოთხოვნის შესაბამისად +25.33 დონეზე საკონფერეციო დარბაზში მოსაწყობია მეორე გასასვლელი გზა-კარი;

პასუხი: მოთხოვნის საფუძველზე მოწყობილია არა ერთი არამედ სამი გასასვლელი გზა-კარი.

3. 1006.3 ქვეთავის მოთხოვნის შესაბამისად გასათვალისწინებელია ავარიული განათების სისტემის მოწყობა;

პასუხი: შენიშვნა გათვალისწინებულია, გეგმებზე დატანილია შესაბამისი წარწერები.

4. მოსაწყობია განგაშის ხელით სამართავი სისტემა იხ. 907.2.2 ქვეთავი.

ეს სისტემა საპროექტო ცხრილში მოცემულია და აღნიშნულია ყველა საჭირო შესაბამისი არსებობის ნიშნით.

შპს დემარკი
დირექტორი
ვლადიმერ აბრამიშვილი

ექსპერტი
რომეო ესართია

საბანაგებო სიტუაციების მართვის სამსახური
სსიპ. საბანაგებო სიტუაციების მართვის სააგენტო

ქ. თბილისის საბანაგებო სიტუაციების მართვის მთავარი სამმართველო

ES 3 18 00030216

საპროექტო დოკუმენტაციის განხილვა

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის
არქიტექტურის სამსახურის უფროსს
თეიმურაზ ბოლოთაშვილს

ბატონო თეიმურაზ,

თქვენი, მიმდინარე წლის 10 აპრილის N60-01181001643 (სააგენტოში რეგისტრაციის თარიღი 10.04.18 N15577) წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ ჩვენი სპეციალისტის მიერ განხილული იქნა ქ. თბილისში, კოსტავას ქ. N77ა-ში (სკ 01.10.13.023.198) უმაღლესი სასწავლებლის შენობის სამშენებლო პროექტის არქიტექტურული ნაწილის „შენობა-ნაგებობების უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის N41 დადგენილების მოთხოვნების შესაბამისად, საპროექტო დოკუმენტაციის სახანძრო უსაფრთხოების შესაბამისობის ნაწილში.

განხილვის შედაგად დადგინდა, რომ საპროექტო დოკუმენტაციაში გასათვალისწინებელია შემდეგი ღონისძიებები:
1. ვინაიდან შენობის გზა-კიბეებისა და გზა-კიბეებთან მისადგომ დერეფნებში გათვალიწინებულია მექნიკური დამწნევი სისტემის მოწყობა სახანძრო მილდგარების სისტემების განთავსება აღნიშნულ ადგილებში დაუშვებელია იხილე 905.4.1 ქვეთავი 1 პუნქტი;
2. 1015.1 ქვეთავის მოთხოვნის შესაბამისად +25.33 დონეზე საკონფერეციო დარბაზში მოსაწყობია მეორე გასასვლელი გზა-კარი;
3. 1006.3 ქვეთავის მოთხოვნის შესაბამისად გასათვალისწინებელია ავარიული განათების სისტემის მოწყობა;

4. მოსაწყობია განგაშის ხელით სამართავი სისტემა იხ. 907.2.2 ქვეთავი.

სახანძრო უსაფრთხოების მარეგულირებელი ნორმების, ტექნიკური რეგლამენტების ან/და სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად შენობაში გათვალისწინებული ავტომატური კვამლაღმომჩენი, ავტოსაშხეფი, ხანძრის შესახებ შეტყობინების და ადამიანთა ევაკუაციის მართვის, კვამლსაწინააღმდეგო ვენტილაციის და ავარიული განათების ხანძარსაწინააღმდეგო სისტემების საპროექტო დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იქნეს სააგენტოში განსახილველად მშენებლობის წარმოების სტადიების გათვალისწინებით.

პატივისცემით,

ქ. თბილისის საგანგებო სიტუაციების მართვის
მთავარი სამმართველოს უფროსი **ანდრე ქუჯაიძე**

საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური / სსიპ
საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტო / ქ.
თბილისის საგანგებო სიტუაციების მართვის მთავარი
სამმართველო
მთავარი სამმართველოს უფროსი
ანდრე ქუჯაიძე

შენობა-ნაგებობის შსაფრთხოების წესებთან შესაბამისობის

საექსპერტო დასკვნა

REA
esartiaromeo@gmail.com
Mob: +995 595 366 226

2018

მოკლე ბიოგრაფიული ცნობები : / 2018

რომეო ესართია / Romeo Esartia

საქართველო, ქ. თბილისი, საქართველოს მოქალაქე



+995 595 366 226

esartiaromeo@gmail.com

www.facebook.com/esartiaroma

შპს რეა / არქიტექტურული კომპანია
ს/კ: 405252480

საქართველო, ქალაქი თბილისი, ვაკის რაიონი,

გამზირი ჭავჭავაძე #66, ბ#3;

განათლება :

თსს აკადემიის არქიტექტურის ფაკულტეტი, სამოქალაქო არქიტეტურა, 2004/2008წელი.

სერთიფიკატი :

შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების კურსი, 2017 წელი, „შენობა ნაგებობის ინსტიტუტი“ #2017-018

სამუშაო გამოცდილება:

1. შპს თეგეტა მოტორსი, მთავარი არქიტექტორი: სამუშაო პერიოდი 2007 წლიდან დღემდე.
2. შპს გრავიტა, მთავარი არქიტექტორი: სამუშაო პერიოდი 2013 წლიდან დღემდე.
3. შპს ვისოლი, არქიტექტორი: სამუშაო პერიოდი 2010/2012 წელი.
4. შპს რეა (ს/კ 405252480) არქიტექტურული კომპანია: დამფუძნებელი / დირექტორი 2018 წელი, სტატუსი: აქტიური.

საავტორო უფლებებით შესრულებული და შეთანხმებული პროექტები :

1. **საქართველო,** ქ. თბილისი, ქ. ქუთაისი, ქ. ბათუმი, ქ. ფოთი, ბაღდათის რაიონი კურორტი საირმე, 2007 წლიდან დღემდე, შესრულებულ ობიექტებს წარმოადგენს: საქმიანი, საცხოვრებელი და ინდუსტრიული ობიექტები.
2. **სომხეთი,** ქ. ერევანი, 2011/2012 წლები: საქმიანი და ინდუსტრიული ობიექტი.
3. **აზერბაიჯანი,** ქ. ბაქო, ქ, შიმახი, 2014/2017 წლები: საქმიანი და ინდუსტრიული ობიექტები.

საექსპერტო მოღვაწეობა შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესებთან შესაბამისობაზე :

ქ. თბილისი და **ქ. ბათუმი:** 2017 წლის თებერვლიდან დღემდე, შესრულებულ ობიექტებს წარმოდგენს: საცხოვრებელი, საქმიანი და ინდუსტრიული ობიექტები, რაზედაც შესრულებულია საკონსულტაციო და საექპერტო შეფასება ჩემს მიერ.

არქიტექტორი : რომეო ესართია



საქართველო

საჯარო სამართლის იურიდიული პირი
თბილისის ა. ქუთათელაძის სახელობის
სახელმწიფო სამხატვრო აკადემია

ბაკალავრის დიპლომი

TSAA № 000515

თბილისის ა. ქუთათელაძის სახელობის
სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის
არქიტექტურის
ფაკულტეტის 2008 წლის 08.27 გადაწყვეტილებით,
რომეო ესართიას, დაბადებულს
1976 წლის 05.06 მიენიჭა
არქიტექტორის კვალიფიკაცია
და არქიტექტურის
ბაკალავრის აკადემიური ხარისხი.

ფაკულტეტის დეკანი
რექტორი

გაცემის თარიღი 2009წ. 07.04

ქ. თბილისი

სარეგისტრაციო № 000515

GEORGIA

LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW
A. KUTATELADZE TBILISI STATE
ACADEMY OF ART

BACHELOR'S DIPLOMA

TSAA № 000515

This is to certify that by the decision of 2008.08.27
of the Architecture
faculty
of the A. KUTATELADZE TBILISI STATE ACADEMY OF ART
Mr./Ms. Romeo Esartia
born on 1976.05.06 was awarded Bachelor's Academic Degree
with a Major in
Architecture

Dean of the Faculty
Rector

Seal

ISSUED ON 07.04 2009

City TBILISI

REGISTRATION No. 000515

სერტიფიკატი

№ 2017-018

გადაეცემა

რომეო ესართიას

მასზედ, რომ მან წარმატებით გაიარა შენობა–ნაგებობის უსაფრთხოების წესების კურსი

„შენობა ნაგებობების ინსტიტუტი - საქართველო"

თეიმურაზ ბოლოთაშვილი, დირექტორი

შპს „გრავიტა“ /ს.ნ. 404988554/ მის.: ქ.თბილისი, შარტავას ქ.#45

#გ/წ 17/11/17-01

17/11/2017 წ.

ც ნ ო ბ ა

ემძლევა ბატონ რომეო ესართიას (პ/ნ:19001025590) მასზედ რომ იგი ნამდვილად მუშაობს შპს „გრავიტა“-ში 2013 წლის მაისიდან დღემდე, იკავებს არქიტექტორის თანამდებობას.

გენერალური დირექტორი

სანდრო კაკალაშვილი

შპს თეგეტა მოტორსი
TEGETA MOTORS LTD

14.06.2017
№0904

ც ნ ო ბ ა

ეძლევა რომეო ესართიას (პ.ნ.19001025590) მასზედ. რომ ის ნამდვილად მუშაობს შპს „თეგეტა მოტორსში“ 2007 წლის 26 ნოემბრიდან არქიტექტორის თანამდებობაზე.

ცნობა ეძლევა საჭიროებისამებრ წარსადგენად.

ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის უფროსი:

/ლ.ბერუაშვილი/

საქართველო, 0131 ქ. თბილისი
დ. აღმაშენებლის ხეივანი მე–12 კმ.№5.
ტელეფონი: 224 44 44
ფაქსი: 224 44 44 (1119)
info@tegetamotors.ge
www.tegetamotors.ge

საბანკო რეკვიზიტები:
"TBC–ბანკი"
SWIFT: TBCBGE22
ა/ა GE80TB0660000024467853
მიმღები: შპს "თეგეტა მოტორსი"
საიდ/კოდი: 202177205

#5, 12–km. D. Agmashenebeli Alley,
0131 Tbilisi, Georgia.
Tel: +99532 224 44 44
Fax: +99532 224 44 44 (1119)
info@tegetamotors.ge
www.tegetamotors.ge

Beneficiary's Bank: TBC BANK
11. Chavchavadze Ave., 0179 Tbilisi. Georgia
SWIFT: TBCBGE22830
BEN'S Account: GE83TB0660000061070209
NAME OF BENEFICIARY: TEGETA MOTORS LTD

საექსპერტო დასკვნა

საექსპერტო დასკვნა შედგენილია და შეესაბამება მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილებაში, საქართველოს მთავრობის 2017 წლის 6 თებერვლის #63 დადგენილებით შეტანილი ცვლილებების საფუძველზე 47-ე მუხლით (მუხლი 47 „არქიტექტურული პროექტის შემადგენლობა) განსაზღვრული არქიტექტურული პროექტი.

საპროექტო ობიექტის რეკვიზიტები და შესწავლის საგანი

ქალაქი თბილისი, ქუჩა კოსტავა #77ა (ს/კ:01.10.13.023.198) მდებარე უმაღლესი სასწავლებლის კორპუსი სპორტულ-საგანმანათლებლო დანიშნულებით, არქიტექტურული პროექტის შესაბამისობა, საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის #41 დადგენილებასთან, ტექნიკური რეგლამენტი ,,შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების“ დამტკიცების თაობაზე.

საპროექტო შენობის რეკვიზიტები

პროექტის სახელი: „უმაღლესი სასწავლებლის კორპუსი სპორტულ-საგანმანათლებლო დანიშნულებით“
მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობები: ბრძანება №2343315,14/12/2015
ესკიზური პროექტის შეთანხმება: გადაწყვეტილება № 2346893,05/01/2016;
არქიტექტურული პროექტი შეასრულა საპროექტო ორგანიზაცია შპს დემარკ (ს/ნ:205196759)

მოწოდებული ინფორმაცია და პასუხისმგებლობის შეზღუდვა

საექსპერტო დასკვნის შესადგენად გამოყენებულ იქნა დამკვეთის მიერ წარმოდგენილი საპროექტო დოკუმენტაცია, არქიტექტურული ნაწილი „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009-წლის 24-მარტის #57 დადგენილების 47-ე მუხლით (მუხლი 47 „არქიტექტურული პროექტის შემადგენლობა) განსაზღვრული არქიტექტურული პროექტი.

საექსპერტო დასკვნა მოიცავს არქიტექტურული პროექტის შემადგენელი კომპონენტების შეფასებას ტექნიურ რეგლამენტთან „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები“ შესაბამისობაზე საქართველოს მთავრობის 2017 წლის 6 თებერვლის #63 დადგენილების („მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პრობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009-წლის 24-მარტის #57 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე) მე-5 მუხლის, მე-3 პუნქტის მიხედვით.

საექსპერტო დასკვნა წარმოადგენს არქიტექტურული პროექტის საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის #41 დადგენილებასთან, ტექნიკური რეგლამენტი ,,შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების“ დამტკიცების თაობაზე, შესაბამისობის შეფასებას და არ მოიცავს საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედ, სამშენებლო სფეროში გამოყენებულ სხვა რაიმე დადგენილობასთან შესაბამისობის ანალიზს. საექსპერტო დასკვნისთვის მოწოდებული დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხიმგებლობა ეკისრება მომწოდებელ მხარეს. ექსპერტი პასუხს აგებს მხოლოდ შემოწმებული წარმოდგენილ დოკუმენტაციის რეგლამენტთან შესაბამისობაზე და არა მის განხორციელებაზე, ან მშენებლობის პროცესში მისგან გადახვევაზე.

საექსპერტო შეფასება მოიცავს

1. დაკავებულობ(ებ)ისა და დაკავებულობის დატვირთვების შეფასება

2. კონსტრუქციის ტიპების შეფასება

3. სიმაღლისა და ფართობის შეფასება

4. გასასვლელების, გასასვლელთან მისადგომების, გასავლელებისა და შენობიდან გამოსასვლელების შეფასება

5. გზა-კიბეებისა და სხვა გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობების შეფასება

6. მისაწვდომობის შეფასება

7. გარე კედლის ღიობებისადმი მოთხოვნების შეფასება

8. სახურავის ანაწყობების შეფასება

9. ცეცხლმედეგობის ხარისხის მოთხოვნილი გამმიჯნავების შეფასება

10. ხანძრისაგან დაცვის სისტემების შეფასება

11. წყალსადენი სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების შეფასება

პროექტის შინაარსობრივი აღწერა (ზოგადი)

მოცემულ ტერიტორიაზე პროექტი ითვალისწინებს უმაღლესი სასწავლებლის კორპუსი სპორტულ-საგანმანათლებლო დანიშნულებით შენობის განთავსებას, იგი განთავსებულია საკადასტრო საზღვრის ფარგლებში, ტექნიკური უნივერსიტეტის კორპუსებს შორის, საპროექტო ტერიტორიას ნაწილობრივ ჩრდილო-დასავლეთის მხრიდან და სრულად სამხრეთ-დასავლეთის მხრიდან ესაზღვრება საზოგადოებრივი სივრცე, ხოლო ჩრდილო-აღმოსავლეთის მხრიდან სამეზობლო მიჯნაზე რეგისტრირებული მიწის ნაკვეთები. საპროექტო შენობის სართულიანობა პროექტის მიხედვით შეადგენს 8 (რვა) სართულს, შენობას გააჩნია მიწის დონის ქვედა სართული, ტერიტორია ხასიათდება მარტივი რელიეფით, აბსოლიტური ნიშნული ზღვის დონიდან 437,95 -დან 438,35-მდე მერყეობს, საპროექტო შენობა თავისი მახასიათებლებით, როგორც არის განმარტებული მე-2 თავში, განეკუთვნება მაღლივს, მისი საპროქტო ჯამური სიმაღლე ყველაზე დაბალი წერტილიდან აღემატება 23-მეტრს.

1. დაკავებულობ(ებ)ისა და დაკავებულობის დატვირთვები

უმაღლესი სასწავლებლის კორპუსის სპორტულ-საგანმანათლებლო დანიშნულებით, შენობის დაკავებულობებს წარმოადგენს: **სქ** ჯგუფი **(ქვეთავი 304 - საქმიანი ჯგუფი სქ)** სადაც განთავსებულია მიწისპირა სართულზე საოფისე ფართები, ხოლო მესამედან მეშვიდე სართულის ჩათვლით აუდიტორიები სტუდენტებისათვის 12 კლასის ზემოთ; **თვ-2** ჯგუფი **(303.3 თავშეყრის ჯგუფი თვ-2)** მიწის დონის ქვედა სართული, სადაც განთავსებულია სამზარეულო, ხოლო მეორე სართულზე, სადაც განთავსებულია კაფე და მასთან დაკავშირებული სამზარეულო სივრცე; **(303.4 თავშეყრის ჯგუფი თვ-3)** მიწის დონის ქვედა სართული, სადაც განთავსებულია საცურაო და სპორტული დარბაზი, მეშვიდე და მერვე სართულზე საკომფერენციო და საპრეზენტაციო სივრცე; **სწ-2** ჯგუფი **(311.3 მცირე საფრთხის შემცველი სასაწყობო ჯგუფი სწ-2)** მიწის დონის ქვედა სართული სადაც განთავსებულია ავტოსადგმი გარაჟი; **სწ-1** ჯგუფი **(311.2 საშუალო საფრთხის შემცველი სასაწყობო ჯგუფი სწ-1.)** მიწის დონის ქვედა სართული სადაც განთავსებულია სამზარეულოს სასაწყობო ფართი და მეშვიდე

სართული სადაც განთავსებულია ინვენტარის შესანახი ფართობი; **დს** ჯგუფი **(312 დამხმარე და სხვადასხვა დანიშნულების ჯგუფი დს)** მიწის დონის ქვედა მინუს მეორე სართული, სადაც განთავსებული აუზის ტექნიკური ოთახი და გადახურვის ფილა, პირობითად მეცხრე სართული, სადაც განთავსებულია დანადგარებისთვის განკუთვნილი ტექნიკური ფართი.

დაკავებულობის დატვირთვის ნაწილში, წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით მოცემული ანგარიში აკმაყოფილებს (ცხრილი 1004.1.2 მაქსიმალური ფართობის დაშვება თითო დამკავებელზე) სწორად არის არჩეული სივრცეების დანიშნულება და შემდგომ ამ სივრცეების იატაკის ფართობი გაყოფილია შესაბამისი დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორზე.

2. კონსტრუქციის ტიპების შეფასება

საპროექტო შენობის კონსტრუქციის ტიპი განისაზღვრა ქვეთავი 503 – (ცხრილი 503) სიმაღლისა და ფართობის ზოგადი შეზღუდვები-ის მიხედვით და წარმოადგენს I-B ტიპის კონსტრუქციას, რომელიც შერჩეულ იქნა შენობის დაკავებულობის, სიმაღლის და სართულის ფართობის მიხედვით. ასევე მოცემული აკმაყოფილებს ცხრილი 601 ცეცხლმედეგობის ხარისხის მოთხოვნები შენობის ელემენტებისათვის (სთ)

მოცემული შედარებები სწორია და აკმაყოფილებს მოთხოვნილ წესებს.

3. სიმაღლის და ფართობის შეფასება

კონსტრუქციის ტიპის ქვეთავი 503 (ცხრილი 503 შენობის დასაშვები სიმაღლე და ფართობი, შენობის სიმაღლის შეზღუდვები ნაჩვენებია მ-ში მიწის დონის ზემოთ. სართულიანობის შეზღუდვები ნაჩვენებია სართულებით მიწის დონის ზემოთ. ფართობის შეზღუდვები ნაჩვენებია მ2-ში „შენობის ფართობი“ განსაზღვრების მიხედვით, თითოეულ სართულზე) მიხედვით, საპროექტო შენობისთვის:

3.1 **სქ** დაკავებულობის შენობის დასაშვები სიმაღლე 48,8 მეტრი, სართულიანობა 11, ხოლო ფართობი შეუზღუდავი - წარმოდგენილი პროექტის მიხედვით მოცემული შენობის ჯამური სიმაღლე შეადგენს 32,51 მეტრს, სართული 6 და ფართობი 5352,3მ2;

3.2 **თვ-2** დაკავებულობის შენობის დასაშვები სიმაღლე 48,8 მეტრი, სართულიანობა 11, ხოლო ფართობი შეუზღუდავი - წარმოდგენილი პროექტის მიხედვით მოცემული შენობის ჯამური სიმაღლე შეადგენს 32,51 მეტრს, სართული 2 და ფართობი 175,5მ2;

3.3 **თვ- 3** დაკავებულობის შენობის დასაშვები სიმაღლე 48,8 მეტრი, სართულიანობა 11, ხოლო ფართობი შეუზღუდავი - წარმოდგენილი პროექტის მიხედვით მოცემული შენობის ჯამური სიმაღლე შეადგენს 32,51 მეტრს, სართული 3 და ფართობი 1654,1მ2;

3.4 **სწ-2** დაკავებულობის შენობის დასაშვები სიმაღლე 48,8 მეტრი, სართულიანობა 11, ხოლო ფართობი 7340მ2 - წარმოდგენილი პროექტის მიხედვით მოცემული შენობის ჯამური სიმაღლე შეადგენს 32,51 მეტრს, სართული 1 და ფართობი 483,2მ2;

3.5 **სწ-1** დაკავებულობის შენობის დასაშვები სიმაღლე 48,8 მეტრი, სართულიანობა 11, ხოლო ფართობი 4460მ2 - წარმოდგენილი პროექტის მიხედვით მოცემული შენობის ჯამური სიმაღლე შეადგენს 32,51 მეტრს, სართული 2 და ფართობი 146,6მ2;

3.6 **დს** დაკავებულობის შენობის დასაშვები სიმაღლე 48,8 მეტრი, სართულიანობა 5, ხოლო ფართობი 3300მ2 - წარმოდგენილი პროექტის მიხედვით მოცემული შენობის ჯამური სიმაღლე შეადგენს 32,51 მეტრს, სართული 2 და ფართობი 1230,9მ2;

მოცემული შედარებები სწორია და აკმაყოფილებს მოთხოვნილ წესებს.

4. გასასვლელების, გასასვლელთან მისადგომების, გასავლელებისა და შენობიდან გამოსასვლელების შეფასება

მოცემულ ნაწილში წარმოდგენილი პროექტი აკმაყოფილებს მოთხოვნებს შემდეგი ნაწილებით: შენობის დაკავებულობის დატვირთვის მიხედვით, ცხრილი 1021.2(2) შეფუძველზე, მოცემული დაკავებულობების დატვირთვის, მდებარეობის და სავალი მანძილის მიხედვით საჭიროა მინიმუმ 2 გასასვლელის მოწყობა, წარმოდგენილი პროექტით გათვალისწინებულია: სქ ჯგუფისთვის მიწის პირა სართულზე 4 გასასვლელი, ხოლო მესამედან მეშვიდე სართულის ჩათვლით 2 გასასვლელი; სწ-2 და სწ-1 დაკავებულობისთვის მიწის დონის ქვედა სართულზე 2 გასასვლელი და მეშვიდე სართულზე 2 გასასვლელი; თვ-2 და თვ-3 დაკავებულობებისთვის, მიწის დონის ქვედა სართულზე 4 გასასვლელი და მეორე და მეშვიდე სართულზე 2 გასასვლელი; დს ჯგუფისთვის მიწის დონის ქვედა მინუს ორ სართულზე -2 გასასვლელი და გადახურვის ფილაზე, პირობიტად მეცხრე სართულზე 2 გასასვლელი. ასევე გასასვლელამდე სავალი მანძილი, ცხრილი 1016.2-ის გათვალისწინებით, აკმაყოფილებს მოთხოვნილს. გზა-კიბეები მოწყობილია 403.5.4 და 1022.10 ქვეთავების მოთხოვნის შესაბამისად და წარმოადგენს დაუკვამლიანებელ შემოზღუდულ სივრცეს ორ საათიანი

ცეცხლმედეგობის კედლის ანაწყობით (1009.3.1.2) სადაც გათვალისწინებულია (716.5 ცხრილის) თანახმად 1.5 (სთ) ცეცხლმედეგი კარის ჩაყენება. ასევე, პროექტით. გზა-კიბეებიდან ორივე გასასვლელი ±0,00 და -0,68 ნიშნულზე გადის პირდაპირ საზოგადოებრივ სივრცეში მოთხოვნის შესაბამისად.

5. გზა-კიბეებისა და სხვა გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობების შეფასება

დაკავებულობის დატვირთვის შესაბამისად მოწყობილია 2 გზა-კიბე ქვეთავი 1005.3.1; ქვეთავი 1009.4 მიხედივთ, ასევე, ვინაიდან პროექტით სართულებს შორის მდებარე ორივე გზა-კიბის თავისუფალი სიგანე მოაჯირებს შორის, ინდივიდულაურად სულ მცირე 1,30 მეტრია (1007.3) შეიძლება ჩაითვალოს მისაწვდომად. სახელურის კომფიგურაცია აკმაყოფილბეს 1012 ქვეთავის მოთხოვნებს, ხოლო გზა-კიბეს ორივე მხარეს მოწყობილი სახელური (1009.15) მოთხოვნის შესაბამისად. გასასვლელიბის სხვა კომპონენტების გამტარუნარიანობა (1005.3.2) შესაბამისად აკმაყოფილებს მოთხოვნებს, კერძოდ: დერეფნების სიგანე პროექტით მოცემულია 1.90-მეტრიდან 2,20-მეტრამდე, სათავსოებიდან გამოსასვლელი კარების ზომები და რაოდენობა მოცემული სპეციფიკაციის მიხედვით და ასახული პროექტში ცხრილების სახით, სუფთა ღიობის ზომები წარმოდგენს 1,0-მეტრიდან 1,5მეტრამდე, რაც შესაბამისად აკმაყოფილებს მოთხოვნებს.

6. მისაწვდომობის შეფასება

შშმ პირთათვის მისაწვდომობა, 1101 ქვეთავის შესაბამისად აკმაყოფილებს მოთხოვნილ წესებს, როგორც საპროექტო შენობის შიგნით, ასევე საპროექტო შენობის გარეთ, საკადასტრო ერთეულის გეგმის ფარგლებში. საზოგადოებრივი სივრციდან შენობის ±0,00 ნიშნულზე მოხვედრა შესაძლებელია პანდუსის მეშვეობით, პანდუსის ამაღლება არ აჭარბებს 75 სმ-ს, ხოლო დახრა 8%-ს. პანდუსებს ორივე მხარეს აქვს სახელურები. პანდუსის სიგანე და ბაქნის სიგრძე არის 1,50მეტრი. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე პანდუსი არის მისაწვდომი და აკმაყოფილებს 1010 ქვეთავის მოთხოვნებს. შენობაში არის 3 სამგზავრო ლიფტი, რომელიც ზომების მიხედვით არის მისაწვდომი და აკმაყოფილებს 1109.7

ქვეთავის მოთხოვნებს. ყველა გეგმაზე ასახულია მისაწვდომი სვლაგეზი, რომელიც უზრუნველყოფს მისაწვდომობას ყველა სართულზე, სართულებზე შშმ პირთა გადაადგილება ხდება ლიფტის საშუალებით და ყველა დაკავებულ იატაკზე, დაკავებულ სივრცეში შესაძლებელია ეტლით მოხვედრა, ყველა კარი, რომელიც გასასვლელი საშუალების ნაწილია არის მისაწვდომი, სწორად არის განსაზღვრული მისაწვდომი სვლაგეზი და აკმაყოფილებს 1104 ქვეთავის მოთხოვნებს, დაცულია აგრეთვე 1106.1 ქვეთავის და შესაბამისი ცხრილის მიხედვით გათვალისწინებული მისაწვდომი სადგომების რაოდენობა, რაც წარმოდგენილი გენგეგმის ფარგლებში ითვლის 1(ერთი) ავტოსადგომის ადგილს.

7. გარე კედლის ღიობებისადმი მოთხოვნების შეფასება

საპროექტო შენობის ფასადი ღერძებში 1-11 შორის ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი შეადგენს 5,80 მეტრს, რომელიც გადის საზოგადოებრივი სივრცისკენ სახრეთ-დასავლეთის მხრიდან, 602 ცხრილის მიხედვით წარმოდგენილ პროექტში კედლის ხანძარმედეგობა ერთ საათიანია, ხოლო გარე კედლებში მოსაწყობი ღიობების ფართობი 705.8 ცხრილის მიხედვით არის 3,2%; ფასადი 7-14 ღერძებს შორის რომელიც ასევე მდებარეობს სამხრეთ-დასავლეთის მხრიდან, რომელიც გადის საზოგადოებრივი სივრცისკენ, ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი საკადასტრო საზღვრამდე შეადგენს 9-მეტრზე მეტს, 602 ცხრილის მიხედვით წარმოდგენილ პროექტში კედლებს არ მოეთხოვება ხანძარმედეგობა, ხოლო გარე კედლებში მოსაწყობი ღიობების ფართობი 705.8 ცხრილის მიხედვით არის 6,1%; ფასადი ა-ზ ღერძებს შორის რომელიც მდებარეობს ჩრდილო-აღმოსავლეთის მხრიდან, ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი საკადასტრო საზღვრამდე შეადგენს 9-მეტრზე მეტს, 602 ცხრილის მიხედვით წარმოდგენილ პროექტში კედლებს არ მოეთხოვება ხანძარმედეგობა, ხოლო გარე კედლებში მოსაწყობი ღიობების ფართობი 705.8 ცხრილის მიხედვით არის 4,4%; ფასადი ზ-ი ღერძებს შორის რომელიც ასევე მდებარეობს ჩრდილო-აღმოსავლეთის მხრიდან, ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი საკადასტრო საზღვრამდე შეადგენს 9-მეტრზე მეტს, 602 ცხრილის მიხედვით წარმოდგენილ პროექტში კედლებს არ მოეთხოვება ხანძარმედეგობა, ხოლო გარე კედლები წარმოდგენილია ღიობების გარეშე; ფასადი 6-1 ღერძებს შორის რომელიც მდებარეობს ჩრდილო-აღმოსავლეთის მხრიდან, რომელიც გადის საზოგადოებრივი სივრცისკენ, ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი საკადასტრო საზღვრამდე შეადგენს 0,70-მეტრს, 602 ცხრილის მიხედვით წარმოდგენილ პროექტში კედლის ხანძარმედეგობა ერთ საათიანია, ხოლო გარე კედლები მოცემულია ღიობების გარეშე; ფასადი 14-7 ღერძებს შორის რომელიც ასევე მდებარეობს ჩრდილო-აღმოსავლეთის მხრიდან, რომელიც ნაწილობრივ გადის საზოგადოებრივი სივრცისკენ, ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი

საკადასტრო საზღვრამდე შეადგენს 9-მეტრზე მეტს, 602 ცხრილის მიხედვით წარმოდგენილ პროექტში კედლებს არ მოეთხოვება ხანძარმედეგობა, ხოლო გარე კედლებში მოსაწყობი ღიობების ფართობი 705.8 ცხრილის მიხედვით არის 4,1%; ფასადი ი-ა ღერძებს შორის რომელიც მდებარეობს დასავლეთის მხრიდან, რომელიც გადის საზოგადოებრივი სივრცისკენ, ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი საკადასტრო საზღვრამდე შეადგენს 4-მეტრს, 602 ცხრილის მიხედვით წარმოდგენილ პროექტში კედლებს გააჩნია 1-საათიანი ხანძარმედეგობა, ხოლო გარე კედლები წარმოდგენილია ღიობების გარეშე; ფასადი ზ-ბ ღერძებს შორის რომელიც მდებარეობს აღმოსავლეთის მხრიდან, ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი საკადასტრო საზღვრამდე შეადგენს 9-მეტრზე მეტს, 602 ცხრილის მიხედვით წარმოდგენილ პროექტში კედლებს არ მოეთხოვება ხანძარმედეგობა, ხოლო გარე კედლებში მოსაწყობი ღიობების ფართობი 705.8 ცხრილის მიხედვით არის 10,2%; არ მოეთხოვება ფასადზე ღიობების შვეული გამიჯვნა 705.8.5 ქვეთავის მე-2 პუნქტის თანახმად. შენობის გარე კედლებს აქვს 0,57სმ-დან 0.66სმ-მდე სიმაღლის პარაპეტი (შენიშვნა: გადახურვის ფილაზე (ნიშნული 29,24) მოწყობილ პარაპეტს რომლის სიმაღლე შეადგენს 0,66სმ-ს, დაგრძელებულია ლითონის კონსტრუქციით, რაც ერთდროულად ასრულებს მოაჯირის ფუნქციას, მისი ჯამური სიმაღლე მოპირკეთებული იატაკიდან შეადგენს 1,10მეტრს) და არის არაწვადი მასალით შესრულებული, რომელიც აკმაყოფილებს (705.11 და 705.11.1) მოთხოვნებს.

8. სახურავის ანაწყობების შეფასება

საპროექტო შენობის სახურავის სტრუქტურისა და არაძირითადი ანაწყობის ცეცხლმედეგობის ხარისხი ცხრილის 601 მიხედვით აკმაყოფილებს 1 (სთ) ხანძარმედეგობას, რაც შეესაბამება ცხრილი 1505.1 და ქვეთავი 1505.3 მოთხოვნას და წარმოადგენს B კლასს, სახურავის ანაწყობები გადახურვა წარმოადგენს მონოლითური რკინაბეტონის ფენას, მრავალშრიან ბრტყელ გადახურვას მცირე ცვალებადი ქანობებით გააჩნია წყლის გადამყვანი ღარები და მილები.

9. ცეცხლმედეგობის ხარისხის მოთხოვნილი გამმიჯნავების შეფასება

საპროექტო ობიექტის ცალკეული დაკავებულობები გამიჯნულია ერთმანეთისაგან შესაბამისი ცეცხლმედეგობის ხარისხის მქონე კედლებით და თარაზული ანაწყობებით 508.4 ცხრილის შესაბამისად. ასევე გამიჯნულია

დაკავებულობები, ცალკეული ელემენტები შესაბამისი მოთხოვნით 708 ქვეთავის საფუძველზე; კიბის უჯრედი და შახტები შემოზღუდულია შესაბამისი 2-საათიანი ცეცხლმედეგობის ხარისხის მქონე კედლებით (ქვეთავი 713) და (716.5 ცხრილის) თანახმად 1.5 (სთ) ჩაყენებულია ცეცხლმედეგი კარები. დაკავებულობების აუცილებელი გამიჯვნა (საათები) აკმაყოფილებს 703-ე ქვეთავის მინიმალურ მოთხოვნებს.

10. ხანძრისაგან დაცვის სისტემების შეფასება

ვინაიდან, საპროექტო შენობა განეკუთვნება მაღლივს, შენობის დაკავებულობები და დაკავებულობის დატვირთვები აღემატება მოთხოვნილს, ქვეთავი 903-ის საფუძველზე, ასევე, ქვეთავი 903.2.10 სწ-2 ჯგუფის შემოზღუდული ავტოსადგომი გარაჟები, პუნქტი 2-ის მიხედვით, ქვეთავი 903.2.1.2 ჯგუფი თვ-2, პუქტი 2 და პუქტი 3-ის მიხედვით, 903.2.1.3 ჯგუფი თვ-3, პუქტი 1 პუქტი 2 და პუნქტი 3-ის მიხედვით, ქვეთავი 713.14.1 ლიფტის ფოიე, პუნქტი 6-ის თანახმად, წესების ტანახმად უნდა აღიჭურვოს ავტოსაშხეფი სისტემებით. ასევე, პროექტით გათვალისწინებულია III კლასის სახანძრო მილდგარების სისტემა (905 ქვეთავი) (905.3.1) საფუძველზე, ვინადიან სართულის იატაკის დონე 9,0 მ-ით ზემოთაა სახანძრო ავტომობილის მისადგომი ყველაზე დაბალი დონიდან, ასევე გათვალისწინებულია ხელის ცეცხლმაქრები (906 ქვეთავი) (906.1 ქვეთავი) საფუძველზე, პუნქტი 1, პუნქტი 2 და პუქტი 4-ის საფუძველზე, 909 ქვეთავის შესაბამისად, ქვეთავი 909.20.5 ალტერნატივა კიბეზე წნევის შექმნით, მოწყობილია კვამლის საკონტროლო სისტემები, დაწნევის სისტემა შიგა გასასვლელის გზა-კიბეებზე მოწყობილია ქვეთავი 1022,10 და ქვეთავი 102210,1-ის მიხედვით, ასევე შიგა გასასვლელი გზა-კიბეების განიავება ხდება 1022.6 და ალტერნატივა მექანიკური განიავების გზით 909.20.4 ქვეთავის შესაბამისად და მოიცავს 909.19.4.1 – 909.19.4.4 ქვეთავების დებულებებს, დერეფნების განიავება ხდება ქვეთავი 1203.4 ბუნებრივი განიავების საფუძველზე, ლიფტს გააჩნია დაწნევის სისტემა (909.21 ქვეთავის) მიხედვით და ის შეესაბამება 909.21.1 – 909.21.11 ქვეთავების მოთხოვნებს. ასევე შენობის წინ, საზოგაოებრივი სივრცის მხრიდან სამრეთ-დასავლეთის მხარეს, ღერძი 11-12 შორის, ქვეთავი 912 მიხედვით, დაყენებულია სახანძრო-სამაშველო სამსახურის მიერ გამოსაყენებელი მისაერთებლები, აღნიშნული სწორია და შეესაბამება მოთხოვნილს.

11. წყალსადენი სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების შეფასება

წყალსადენის სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების რაოდენობა თითოეული დაკავებულობისთვის, შეესაბამება ცხრილი 1602.1-ის მინიმალურ მოთხოვნებს.

დასკვნა

ჩემს მიერ შესწავლილ საპროექტო დოკუმენტაციის საფუძველზე მიმაჩნია, რომ: ქალაქი თბილისი, ქუჩა კოსტავა #77ა (ს/კ:01.10.13.023.198) მდებარე უმაღლესი სასწავლებლის კორპუსი სპორტულ-საგანმანათლებლო დანიშნულებით, არქიტექტურული დოკუმენტაცია სრულ შესაბამისობაშია ტექნიკურ რეგლამენტთან ,,საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის დადგენილება #41“-ის მიხედვით ,,შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესებთან“. ასევე ვადასტურებ რომ, ცალკეული შენიშვნები ჩემს მიერ გამოთქმული სამუშაოების მიმართ, ავტორის მიერ მიღებულ იქნა და საპროექტო დოკუმენტაციაში შეტანილია სათანადო კორექტივები, წარმოდგენილი დოკუმენტაცია შედგენილია კარგ ტექნიკურ დონეზე და მოიცავს არქიტექტურული პროექტისთვის ყველა საჭირო ინფორმაციას, რის საფუძველზე წარმოდგენილი პროექტის არქიტექტურულ ნაწილს ეძლევა დადებითი შეფასება.

არქიტექტორი / ექსპერტი : რომეო ესართია

23/03/2018

